განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
აგრონომია

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
08 იანვარი 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
20 თებერვალი 2019 წელი

თბილისი 2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრონომია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბაკალავრი აგრონომიაში 0101
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა კევლიშვილი, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გაგა ბუიშვილი, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიკა ბოკუჩავა, სოხუმის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა.

აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან. პროგრამაზე ამჟამად 172 სტუდენტი სწავლობს. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი აგრონომიის დარგში, რომელიც საერთაშორისო მეცნიერული და სასწავლო სფეროში ინტეგრირების პირობებში, შეძლებს კონკურენციის გაწევას აგრობიზნესის სექტორში და იქნება ორიენტირებული მომხმარებლის საჭიროებებზე. ექნება პროფესიული, ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიური განათლება. შეეძლება აგრონომიის თანამედროვე მიღწევების გამოყენებით დანერგოს და განახორციელოს საკვები, მინდვრის, ბოსტნეული, მრავალწლიანი სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა, მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად.

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა.

კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო პროგრამის გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭება ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 222 კრედიტის) და თავისუფალი კომპონენტების (არანაკლებ 20 კრედიტის) კომბინირებით, ჯამში არანაკლებ 242 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება განხორციელდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის № 01-05-04/95 დადგენილებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ტექნიკურ უნივერსიტეტში ,,აგრონომიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განხორციელდა 2019 წლის 08 იანვარს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, სადაც ნათლად ჩანდა თვთშეფასების ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც ასახულია შესაბამის ოქმებში. აგრეთვე ინტერვიუ განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პედაგოგებს, დამსაქმებლებს, ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, ვიზიტის დროს დავათვალიერეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხილულ იქნა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები. ჩატარდა ინტერვიუები, რომლის შედეგადაც ნათელი გახდა ყველა ის საკითხი, რომელიც ექსპეტრებისთვის ბუნდოვანი იყო. აღინიშნა საუკეთესო პრაქტიკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომია“ მთლიანობაში იმსახურებს მოწონებას. იგი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოიკვეთა პროგრამის დადებითი მხარეები, პროგრამას

მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე პრაქტიკულად არ აქვს, შედეგზე სრულად გადის და იმსახურებს დადებით შეფასებას.

- **რეკომენდაციები**

არ არის

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველი სასწავლო კურსის ,,მეხილეობა“ პრერეკვიზიტი აგროქიმია შეიცვალოს სასწავლო კურსით „ს/მ (მინდვრის) კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა“.

სასურველია სასწავლო კურსი ,,ზოგადი ბიოლოგია“ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს ერთი ან ორი სასწავლო კურსის პრერეკვიზიტად.

სასურველია სასწავლო კურსი ,,ნიადაგთმცოდნეობის საფუძვლები“ კურიკულუმში დაგატანილ იქნეს ძირითად ბლოკში, რადგან ის რამდენიმე სასწავლო კურსის პრერეკვიზიტია.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილია ექსტენციის მოდული, რაც ხელს უწყობს აგრონომ ექსტენციონისტის მომზადებას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ,,აგრონომია“ აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წელს მის შემდეგ პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ჩაემატა გრაფა შუალედური/დასკვნითი შეფასება, რომელის ყველა სასწავლო კურსის შემთხვევაში წარმოადგენს 1/1 ანუ 2 საათს და არის სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტით გათვალისწინებული საათების ნაწილი. სასწავლო გეგმაში შეტანილი აღნიშნული ცვლილება შესაბამისად აისახა ყველა სასწავლო კურსის დამოუკიდებელი სამუშაოს საათებზე. პროგრამის სასწავლო გეგმის სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N1939 თან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, იმ სასწავლო კურსებში, რომელთა საკონტაქტო საათების რაოდენობა, კრედიტების მიხედვით, აჭარბებდა აღნიშნული დოკუმენტის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, სალექციო მეცადინეობების საათები შემცირდა 15 საათით, გარდა შემდეგი სასწავლო კურსისა: „ტექნიკური თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ (ინგლისური, რუსული, ფრანგული გერმანული), - 15 საათით შემცირდა პრაქტიკულის მეცადინეობები. საგანმანათლებლო პროგრამაში, სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებისა და მეთოდების გრაფაში დაემატა - კონსულტაცია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრონომია“ სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან და მისი მიზანია, მომზადდეს ბაკალავრი, რომელიც იქნება ორიენტირებული, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაზე. აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და პროფესიული უნარები. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ კონკურენციის გაწევა აგრობიზნესის სფეროში და ორიენტირებულნი არიან მომხმარებლის საჭიროებებზე. აქვს თეორიული განათლება და პრაქტიკული უნარები. შეუძლია აგრონომიის თანამედროვე მიღწევების გამოყენებით განახორციელოს საკვები, მინდვრის, ბოსტნეული, მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანა, დანერგონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროტექნოლოგიური ღონისძიებები. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, რომელიც უნივერსიტეტს ამჟამად აქვს გაცხადებული. მიზნების მისაღწევად, საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს მიქცეული თეორიული და პრაქტიკული სწავლების სწორ დაგეგმვას და განხორციელებას. აღნიშნული გულისხმობს საგნის თეორიული შესწავლის პარალელურად მის პრაქტიკაში რეალიზებას. სტუდენტები ჩაბმული არიან ინტერაქტიულ სწავლებაში და საკუთარ ცოდნას იყენებენ სხვადასხვა პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. აღნიშნული ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული საგნების სიღრმისეულ შესწავლას, რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდის შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამა დიდი გამოწვევის წინაშე დგას, რაც ასახულია პროგრამის მიზნებსა და უნივერსიტეტის მისიაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;

საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრონომია“. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება; o დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაhttp://gtu.ge/AboutStu/Mission.php ; პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა; აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითსეფასების წარმოდგენის დროს არ იყო შევსებული 1.2 პუნქტი, მაგრამ ინტერვიუს შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და ეს ხარვეზი გამოსწორებული იყო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N44 10.12.2018). აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები. აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერთანდა უზრუნველყოფს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენსპროგრამის დასრულებისას. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები, შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევები; განხორციელდა არსებული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შემოწმება/შეფასების პროცესი, რომელშიც ჩართული იყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობისა და რეალისტურობის შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა კითხვარები სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისა და პოტენციური დამსაქმებლებისათვის. ჩატარებული იქნა შეხვედრები აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების და სტუდენტების მონაწილეობით, რომლებზეც ეტაპობრივად განხილული იქნა პროგრამის არსებული მდგომარეობა, გასაუმჯობესებელი მხარეები, გაკეთდა მათი ანალიზი და დაიგეგმა ღონისძიებები, რომელთა განხორციელების შემდეგ ისინი შეჯერდა და იქნა მიღებული, როგორც პროგრამის მოდიფიცირების საფუძველი. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შემუშავებულია სასწავლო კომპონენტები/სასწავლო კურსები. ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელიც საბოლოოდ გამოტანილია კომპეტენციების რუკის სახით. ყოველი სწავლის შედეგისთვის კი შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. კომპეტენციების რუკაში არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტური ანალიზი სასწავლო კურსებთან მიმართებაში და განისაზღვრება რომელი სასწავლო კურსის/კურსების დახმარებით რა ტიპის სწავლის შედეგი/შედეგები მიიღწევა. მაგალითად, კომპეტენციების რუკის საშუალებით გაკეთებულ მონაცემთა ანალიზის მიხედვით შეიძლება დადგინდეს, რომ რამდენიმე სწავლის შედეგი მიიღწევა ერთი სასწავლო კურსით. კომპეტენციების რუკა ცხადად და გარკვეულად აჩვენებს თითოეული სასწავლო კურსის როლს, დანიშნულებასა თუ აუცილებლობას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. კურიკულუმში მოთავსებული ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. შერჩეული შეფასების მეთოდი გულისხმობს ცოდნის შემოწმების ისეთი ტექნიკის

გამოყენებას, რომელიც რელევანტური და ადეკვატურია კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად სასწავლო კურსში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული კომპეტენციების მისაღწევად. სწავლის შედეგები არის განაცხადი, რა ესმის, რა იცის, რას აცნობიერებს, რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგების გაწერა სასწავლო კურსში ხდება პროფესორ-მასწავლებლის მიერ. სწავლის შედეგები ფასდება პროცედურით, რომელიც ეფუძნება გამჭირვალე კრიტერიუმებს და ეს არის შეფასების სისტემა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის სილაბუსში არის ასახული. შეფასების სისტემა სხვადასხვა სახის კრიტერიუმით ზომავს მას, თუ რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის გავლის შედეგად, რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია. აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამაში გარკვეული კანონზომიერებით არის შერწყმული თეორიული და პრაქტიკული სწავლება, ასევე მნიშვნელოვანია ლაბორატორიული სამუშაოების თემატიკა და ამ სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე წარმატებით გასვლას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ფაკულტეტის საბჭოს ოქმი N 44 10.12.2018 საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომია“ სასწავლო კურსის სილაბუსები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“. სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/I/B/info; სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“; დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**შესაბამისობაშია**			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესალებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

დამატებითი პირობა აგრონომიი პროგრამაზე ჩარიცხვისათვის უნივერსიტეტს არ გააჩნია. აბიტურიენტს დამატებით მეოთხე საგნის არჩევისთვის ფართო არჩევანი აქვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომია"

¬ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;

¬ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;
¬ სტუ– ში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება
¬ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge/.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგრონომია შედგენილია აკადემიური პერსონალის, თვითშეფასების ჯგუფისა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. პროგრამა ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. ამასთანავე, პროგრამაში მოცემულია სწავლის შედეგები, რომლებიც აღწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. პროგრამის სტრუქტურა თანმდიმდევრული და ლოგიკურია და შინაარსთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

აგრონომიის პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამაში სრული კანონზომიერებით არის განლაგებული საუნივერსიტეტო ზოგადი და სპეციალობის სასწავლო კურსები. პროგრამის 242 კრედიტი განაწილებულია შემდეგი სახით: ძირითადი სპეციალობის 227 კრედიტი, რომელიც მოიცავს უცხო ენის სასწავლო კურსები-10 კრედიტი; არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსი-5 კრედიტი; სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 212 კრედიტი; პროგრამაში აგრეთვე განლაგებულია სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კურსები-15 კრედიტი.

პროგრამაში სასწავლო კურსები განლაგებულია კრერეკვიზიტების გათვალისწინებით, შესაბამისი სემესტრების მიხედვით. თუმცა ზოგადი ბიოლოგიის სასწავლო კურსი შეადგენს 7 სასწავლო კურსის პრერეკვიზიტს, რომელიც შექმნის პრობლემას სტუდენტთა მობილობის დროს, ამავე დროს სასწავლო კურსს მეხილეობა აქვს 4 პრერეკვიზიტი, მათ შორის წარმოდგენილია სასწავლო კურსი ,,აგროქიმია", რომელიც კურიკულუმში არ გვხვდება. სასწავლო კურსის პედაგოგთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ: კურიკულუმში ნაცვლად აგროქიმიისა წარმოდგენილია სასწავლო კურსი ,,ს/მ (მინდვრის) კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა". სასწავლო კურსი ,,ნიადაგთმცოდნეობის საფუძვლები" წარმოადგენს სასწავლო კურსების: ,,ორგანული სოფლის მეურნეობის თეორია და პრაქტიკა", ,,მებოსტნეობა", ,, საკვები კულტურების მართვა", ,,მიწათმოქმედება", ,,წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში ," პრერეკვიზიტს, თუმცა სასწავლო კურსი ,,ნიადაგთმცოდნეობის საფუძვლები" პროგრამის კურიკულუმში არჩევითი კურსია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომია";

¬ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);

¬ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვალი №407 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია".

¬ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია"

2018 წ.

-ფაკულტეტის საბჭოს ოქმი N 44 10.12.2018

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სასწავლო კურსის ,,მეხილეობა“ პრერეკვიზიტი აგროქიმია შეიცვალოს სასწავლო კურსით „ს/მ (მინდვრის) კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა“.

სასურველია სასწავლო კურსი ,,ზოგადი ბიოლოგია“ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს ერთი ან ორი სასწავლო კურსის პრერეკვიზიტად.

სასურველია სასწავლო კურსი ,,ნიადაგთმცოდნეობის საფუძვლები“ კურიკულუმში დაგატანილ იქნეს ძირითად ბლოკში, რადგან ის რამდენიმე სასწავლო კურსის პრერეკვიზიტია.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის

შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება. დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის აღმწერის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია აგრარული სფეროს აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას.

თითოეული ძირითადი სასწავლო კურსი, რომელიც კურიკულუმშია წარმოდგენილი მოიცავს ლაბორატორიულ და პრაქტიკულ ნაწილს, რომელიც შერწყმულია თეორიულ ნაწილთან და უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შედეგზე გასვლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა ,, აგრონომია“;
¬ სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).
¬ ბიბლიოთეკის კატალოგი;
აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციების რუკა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებულია სემინარები, შემადგენელ რიგ კომპონენტებში (სილაბუსებში) გათვალისწინებულია ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე სასწავლო კომპონენტების ნაწილი გულისხმობს საკურსო სამუშაოების შემუშავებას. სტუ-ში სისტემატიურად ტარდება კონფერენციები, სადაც სტუდენტები გამოდიან მოხსენებით მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ. სპეციალობის საგნების უკეთესი ათვისების მიზნით სასწავლო პროგრამაში აგრეთვე გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკა, რომელიც ტარდება სხვადსხვა აგროსფეროში მომუშავე ორგანიზაციებში, რომლებთანაც აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტს გაფორმებული აქ მემორანდუმები. პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას და მათ საველე აქტივობებში ჩართვას. ექსტენციისა და აგროგანათლების ბლოკში შეთავაზებულია პრაქტიკის ორი ფორმატი:

1. კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა,
2. პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსები, კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა ინტეგრირებულია პროგრამის სასწავლო კურსებში და ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი (იხ. შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები). პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი კრავს და ამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში.

პრაქტიკის პროცესი სტრუქტურირებულია და ხორციელდება შემდეგ ეტაპებად: ● დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება; ● სამუშაო შეხვედრების ორგანიზება პარტნიორი დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და ტუტორებთან; ● სტუდენტთა განაწილება პრაქტიკის ადგილებზე; ● კურსით გათვალისწინებული პრაქტიკული აქტივობების განხორციელება პრაქტიკის ადგილებზე; ● სტუდენტთა შეფასება პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში ლექტორის და ტუტორის მიერ; ● ტუტორის შეფასება სტუდენტთა მიერ; ● პრაქტიკის მონიტორინგი პრაქტიკის განხორციელების ყველა ეტაპზე; ● პრაქტიკის განხორციელების შეფასება ყოველი სემესტრის დასრულებისას; ●მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ინტერვენციების დაგემვა განხორციელება; პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ჩართულები არიან შესაბამისი კურსის ლექტორი და ტუტორი. სტუდენტთა პრაქტიკის ფარგლებში განსახორციელებელ სავალდებულო აქტივობებს გეგმავს კურსის ხელმძღვანელი. ყველა პრაქტიკულ კურსში (როგორც ჩაშენებული პრაქტიკის შემთხვევაში, ასევე პრაქტიკის დამოუკიდებელ კურსში) გათვალისწინებულია პრაქტიკული სემინარები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იღებენ პრაქტიკული დავალებების ინსტრუქციებს, დაწესებულებებში ვიზიტების განხორციელების შემდეგ ლექტორს აცნობენ თითოეული ვიზიტის ანგარიშს და იღებენ უკუკავშირს. პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებაში მონაწილეობს როგორც ლექტორი, ასევე ტუტორი. სტუდენტთა პრაქტიკის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით, რომელიც არის სილაბუსების შემადგენელი ნაწილი. უნივერსიტეტს გააჩნია ლაბორატორიები კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად, ლაბორატორიებში მიმდინარეობს ნიადაგის (სტრუქტურა, საკვები ელემენტები, მიკროელემენტები) და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა კვლევა. უნივერსიტეტი ახორციელებს რამდენიმე კვლევით პროექტს, რომელიც დაფინანსებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერ ფონდის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ამ პროექტებში აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომია“; ¬ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); ¬ კონფერენციების მასალები; ¬ დაწესებულებებსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "აგრონომიის" სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება. დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო საგნის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case studya), გონებრივი იერიში (Brain storming), როლური და სიტუაციური თამაშები; დემონსტრირების მეთოდი; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; ანალიზის და სინთეზის მეთოდი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. წერითი მუშაობის მეთოდი; ლაბორატორიული მუშაობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას; პრაქტიკული მუშაობა; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება , თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად , კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა ,, აგრონომია“ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ–ში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების შემდეგი მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები: წერითი გამოკითხვა საკითხებით, ტესტირება ღია ან დახურული კითხვებით, ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა, მაგალითების, ამოცანების ამოხსნა, აგრეთვე საკითხის ან პრობლემის შესახებ მასალისა და პრეზენტაციების მომზადება, ინფორმაციის მოძიება (სტატია, განმარტება, წიგნი, ინტერვიუ, გამოკითხვა) და სხვა. შეფასებისას შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი ან რამდენიმე მეთოდის კომბინაცია. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში. ცოდნის შეფასების სისტემა ზოგადად გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. უკუგება უზრუნველყოფილი იქნება მას შემდეგ, რაც პროფესორი გაეცნობა სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს. შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ გააზრების შესაძლებლობას. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების მეთოდების შესახებ მიიღონ, როგორც პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობით, ასევე საგნის პედაგოგის მეშვეობით. სტუდენტებს აქვთ სტუ-ს ვებ-გვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების

მონიტორინგის ელექტრონული სისტემა გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების შესახებ სტუდენტის ინფორმირებულობას. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შუალედური და დასკვნითი შეფასებების შესახებ მას საშუალებას მისცემს გაითვალისწინოს საკუთარი ხარვეზები და იზრუნოს მათ გამოსწორებაზე. ამ მიზნით გამოყოფილია საათები, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს ინდივიდუალურად გაიაროს კონსულტაცია საგნის წამყვან პედაგოგთან. შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი შეფასებებია: • (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; • (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; • (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; • (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; • (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: • (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა ,, აგრონომია“ ¬ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“; ¬ 2012 წლის 6 ივლისის № 732დადგენილებით, დამტკიცებული „შეფასების ფორმების შესაბამის მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა“; ¬ ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.leqtori.gtu.ge. ¬ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**შესაბამისობაშია**			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტს აქვს საშუალება თავისი პროფილის და კარიერული განვითარების განსაზღვრის, შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისგან. სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო მობილობაში, პროექტებში, ღონისძიებებში და კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ინფორმაცია

კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს და კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სოციალური დახმარება, დასვენების სერვისები, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ და სხვ.) ინფორმაცია. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა, გამოკითხვებში მონაწილეობისთვის მიმაგრებული კითხვარები. აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელშეკრულები/სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციებს, რომლის პროცესშიც აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სტუდენტთან. პერიოდულად ტარდება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც ხელს უწყობს სტუდენტს მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული დასაქმების და კარიერული განვითარების პერსპექტივების შესახებ
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომია“. ¬ სასწავლო კურსების პროგრამა (სილაბუსები); ¬სტუ-შიდა აკადემიური დატვირთვების გადაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია(აკადემიური საბჭოს დადგენილება 28.05.2013. № 936 დადგენილება.). ¬ პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული შეხვედრების ოქმები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია**			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ყველა ფუნქციის ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო–პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობით.

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად და მოწვეულ პროფესორებს შორის წარმოდგენილნი არიან კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერებიც, რომლებიც ეწევიან როგორც პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასევე სტუდენტები ჩართული ყავთ კვლევით პროექტებში, რომლებას ისინი ახორციელებენ კვლევით ინსტიტიტებში.

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის ჩართულია სულ 67 პერსონალი, მათ შორის 53 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 14 მოწვეული პერსონალი. თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 4:1, აკადემიური პერსონალიდან 50 აფილირებული პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორია. წარმოდგენილი აკადემიური პერსონალიდან 29 მაპროფილებელი საგნების განმახორციელებელია.

სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ადმინისტრაციის როლი სტუდენტთა კარიერული წინსვლის, მათი პრაქტიკული უნარების განითარების ხელშეწყობისა და სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა;

¬ სტუ-სა და „სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობა“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

¬ სტუ-სა და „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

¬ სტუ-სა და „სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“.

¬ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;

¬ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;

¬ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები

¬ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკუტეტზე შექმნილია საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც აფასებენ მეცადინეობების ხარისხს, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს, აკეთებენ შესაბამის დასკვნებს და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული

განვითარებისთვის და წახალისების ფორმად დამატებით გამოიყენება საბონუსე სისტემა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა, რომელსაც ითვალისწინებს ფაკულტეტის ბიუჯეტი. პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას და მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. ექსტენციისა და აგროგანათლების ბლოკში შემავალი კურსების დანერგვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემების მოდერნიზება" და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ამავე პროექტის ექსპერტების მიერ ჩატარდა სამუშაო შეხვედრები უნივერსიტეტის იმ ლექტორებთან, რომლებიც სამომავლოდ იქნებიან კურსის ხელმძღვანელები. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო კურსების სილაბუსების გაცნობა და ადაპტირება პროგრამისა და უნივერსიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები მუდმივად ახდენენ პროფესორ-მასწავლებელთა შეფასებას შესაბამისი კითხვარების საშუალებით, ასევე რეგულარულად ხდება პროგრამების შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საშუალებით, მიღებული შედეგები მუშავდება და მიიღება შესაბამისი ღონისძიებები. პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ნათელი გახდა ადმინისტრაციის ხელშეწყობის ღონისძიებები, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შექმნა, კვლევების დაფინანსება, სამეცნიერო, რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ; პერსონალის პირადი საქმეები; სტუდენტთა მიერ შევსებული კითხვარები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით (სასწავლო ლაბორატორიები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შენობა აღჭურვილია ლაბორატორიებით, 28 სალექციო აუდიტორიით, 8 საპროფესორო ოთახით, 3 კომპიუტერული კლასით 75 სტუდენტზე, 1 შეხვედრების ოთახით (ვიდეო საკონფერენციო აპარატურის კომპლექტით), ბიბლიოთეკით (წიგნადი და ელექტრონული) და 1 საკონფერენციო დარბაზი (150 კაციანი თავისი მოძრავი ეკრანით "პროექტორი ლინზით"). სასწავლო კორპუსში განთავსებულია კეთილმოწყობილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამსი სასწავლო-სამეცნიერო 32 სხვადასხვა სახის ლაბორატორია და 28 აუდიტორია, კერძოდ: 2 ფიზიკის, 2 ბიოქიმიის, 4 აგრონომიის, 4 ნიადაგმცოდნეობის, 2 მიკრობიოლოგია, 2 მცენარეთა ფიზიოლოგია და გენეტიკის, 4 კვების პროდუქტების უვნებლობის, 2 მეცხოველეობის, 4 დენდროლოგიის, 3 საკვებწარმოების, 1 სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის, 1 სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, 1 სითხეების მექანიკის ლაბორატორიები. პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან მითითებულ ორგანიზაციებში არსებულ ბაზებზე: „სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობა“, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“. პროგრამა განხორციელდება სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა; ¬ სტუ–ს ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა; ¬ ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მოდელი აერთიანებს ყველა პროგრამისა და ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს. აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის მოთხოვნადი და მასზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა დიდია. გარდა ამისა აგრონომიის სპეციალობა წარმოადგენს ქვეყნისთვის პრიორიტეტულ დარგს და ხდება მისი დაფინანსება სახელმწიფოს მიერ. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში ცენტრალიზებულად (უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით). უნივერსიტეტის მიერ, ერთიანი ბიუჯეტიდან, ფაკულტეტისთვის პროცენტულად ხდება თანხის გამოყოფა, რომელსაც ფაკულტეტი ანაწილებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილ ყველა პუნქტზე. ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტში განისაზღვრება ფინანსები ფაკულტეტზე არსებული პროგრამებისათვის, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. ¬ პროგრამაზე ჩარიცხულების რაოდენობა ¬ აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია**			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტს ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; სისტემა უზრუნველყოფს: ¬ უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას; ¬ უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით. ¬ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, ეყრდნობა ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში. სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Checking and Improving - PICI).

¬ უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (2011 წლის 6 მაისის №4501 დადგენილება). აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. თანამშრომლობა მოიცავს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას.

პროგრამის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი შეიძლება იქნეს აღწერილი, როგორც მოქმედების მუდმივი ციკლი: `დაგეგმე – გააკეთე – შეამოწმე – იმოქმედე.

ამგვარი სისტემური მიდგომა იძლევა ხარისხის კონტროლის, უზრუნველყოფისა
და გაუმჯობესების გარანტიას. სწორედ ამ მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფა განიხილება, როგორც სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესების აქტივობებს მკაფიოდ განსაზღვრულ გარემოში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სულ მცირე წელიწადში ორჯერ. წელიწადში ერთხელ ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები მათი კმაყოფილებისა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ. შიდა შეფასებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე არკვევს თუ როგორია სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები სტანდარტებთან მიმართებაში, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და პროგრამის დასახულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიღწევადობას.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის არსებული მექანიზმიდან გამომდინარე ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად განიცდის შემოწმებას და ცვლილებებს. მიღებული სტანდარტების საფუძველზე სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად ხდება პროგრამების პერმანენტული ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან;
პროგრამის სეფასების ანალიზი;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს გამოიყენება გარე შეფასების შედეგები, რომელიც მიიღწევა ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცედურების ფარგლებში. პროგრამაში გათვალისწინებულია ყველა ღირებული რეკომენდაცია და რჩევა. პროგრამის გარე შეფასებას ახდენს აგრეთვე დამსაქმებელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებისათვის დაგეგმილ სამუშაოების განხორციელების პროცესში. დამსაქმებელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მათი ჩართულობა პროგრამის გარე შეფასებასა და აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმის შემუშავებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

¬ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 4 სექტემბრის N272 გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია, ხოლო ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ,,აგრონომია“ აკრედიტირებულია 10.01.2014 წ. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №11.

¬ 2012 წლიდან დღემდე წელიწადში ერთხელ ხორციელდებოდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის წლიური თვითშეფასების წარდგენა, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები;

¬ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;

¬ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები o http://eqe.ge/res/docs/N3_7.02.2018.pdf

¬უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები o http://eqe.ge/res/docs/Accreditation_standards.doc

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისათვის; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება, რომელშიც ჩართულები იყვნენ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. შეფასება ხორციელდება როგორც შეხვედრებზე განხილვის ფორმატში, ასევე კითხვარების საშუალებით. პროგრამის შეფასებისთვის დამუშავდა მიღებული ინფორმაცია, გაკეთდა ანალიზი და განისაზღვრა მისი ძირითადი ნაკლოვანებები და გასაუმჯობესებელი საკითხები, რომელიც აისახა რეკომენდაციაში. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე განისაზღვრა მოდიფიცირების გზით მისი განახლების საჭიროება. მოდიფიცირების გზით პროგრამის გაუმჯობესებისთვის და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მომზადებული ანალიზის დოკუმენტში განმახორციელებელი სასწავლო დეპარტამენტის მიერ მომზადებული იქნა უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური მიმართულების პროგრამებთან შედარების ანალიზიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სტუდენტების კითხვარები; დამსაქმებელთან შეხვედრის ოქმები; აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების მონიტორინგის ოქმები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგრონომია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მანანა კევლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გაგა ბუიშვილი

მარიკა ბოკუჩავა